<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელების, მასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ოთხი შესახვევისთვის მაგნოლიის და აკაციის სახელების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ლისის ქუჩა,თანდართული რუკის თანახმად.
2. საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აკაციის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს მაგნოლიის სახელი, თანდართული რუკის თანახმად
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნ ველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:479282 Y:4622073
X:479476 Y:4622044
X:479616 Y:4622030
X:479704 Y:4622081
X:479119 Y:4622016
ლისის ქ.
აკაციის ქ.
II შეს
III შეს
IV შეს
X:479717 Y:4621741
X:479218 Y:4621813
X:479392 Y:4621801
X:479528 Y:4621783
X:479854 Y:4621739
აკაციის ქ
მაგნოლიის ქ
X:479627 Y:4621746
X:479809 Y:4621721
X:479544 Y:4621660
X:479799 Y:4621609
I შეს
X:479934 Y:4621577
ლისის ქ.
X:479687 Y:4621546
ლისის ქ.
X:479303 Y:4621270
X:479512 Y:4621306
N
1:6,000

ქ.თბილისის საკრებულოს

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ (ს.კ 404857534)
წარმომადგენლის - ეთერი ღონღაძის (პ/ნ 01005041043)

10 აგვისტო, 2023 წ.

განცხადება

მოგესალმებით,

სს "ლისი ლეიქ დეველოპმენტის" (ს/კ 404857534) მიერ ქ.თბილისის საკრებულოში 2023 წლის 19 აპრილს ელექტორნული სახით შემოტანილი გვაქვს განცხადება ვილების უბნის დამისამართებასთან დაკავშირებით, წერილის #19/032310957-03 (საკ.კოდი: 01.10.18.004.019). თუმცა, ამ დრომდე არავითარი პასუხი აღნიშნულ განცხადებაზე არ მიგვიღია, მიუხედავად იმისა რომ გავიდა 4 თვეზე მეტი, რითაც დარღვეულია ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადები საკრებულოს მიერ.

ვილების უბანში მისამართის არქონის გამო, მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს სხვადასხვა სერვისებით, ვერ იღებენ ამანათებს, ვერ იძახებენ ტაქსის, ვერ ახორციელებელ ელემენტარულ მომსახურებებს, რაც დიდ დისკომფორტს ქმნის საცხოვრებელი მიზნებისათვის. სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“ გახლავთ დეველოპერული კომპანია, რომელიც, როგორც გრგ-ის ავტორი კომპანია, ვალდებულია მოახდინოს აღნიშნული ქუჩების დამისამართება, ამდენად, გთხოვთ როგორც კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენელს, დამიკავშირდეს თქვენი ადმინისტრაციული ორგანოდან უფლებამოსილი პირი და მაცნობოს რა ეტაპზეა საქმის განხილვა, ან მაცნობეთ წერილობითი სახით განცხადების განხილვის ეტაპები და ვადები, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით მოგმართოთ ოფიციალური საჩივრით და მოვითხოვოთ ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და ინდ.აქტის გამოცემა.

დანართის სახით გიგზავნით მინდობილობას და #19/032310957-03 წერილზე წარმოდგენილ თანდართულ რუკას, ქუჩებისთვის სახელწოდებების მინიჭების მოთხოვნით.

გთხოვთ, დამიდასტუროთ აღნიშნული მეილის მიღება.

პატივისცემით,
ეთერი ღონღაძე
(პ/ნ 01005041043)
სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ წარმომადეგენელი.
მის.: ქ.თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა N6
ტელ.: 558 207 207

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ოცდასამი წლის თერთმერტ იანვარს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. #1, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ნოდარ ადეიშვილმა. მან, როგორც სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის გენერალურმა დირექტორმა, განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს ეთერი ღონღაძეს. ნოდარ ადეიშვილმა მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე ნოდარ ადეიშვილის, როგორც სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის (რეგ: 19/03/2010წ. ს/ნ 404857534. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ტირიფების ქ. #2, კომერციული ფართი #1) გენერალური დირექტორის უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან. მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი: მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

ნოდარ ადეიშვილმა (დაბ: 12.01.1981წ. თბილისში, პ/ნ 01031004439, რეგ. მის: ქ. თბილისი ლისის იასამნების ქ. N 5 ბ. 22), როგორც სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის გენერალურმა დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც, „მიმნდობი", ეთერი ღონღაძეს (დაბ: 03.06.1994 წ., პ/ნ 01005041043, რეგ. მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, კორპ 13, ბ.46;), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი",მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი
მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი ნებისმიერ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, სახელმწიფო/ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის (და არამხოლოდ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის საკრებულოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის ნებისმიერ სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნებისმიერ სსიპ-სა და სამსახურში, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საქართველოს საერთო სასამართლოებში, აქციებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან, საფონდო ბირჟასთან, ეროვნულ ბანკთან, ცენტრალურ დეპოზიტართან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაციასთან, იურიდიულ პირთან თუ ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით;

მინდობილი პირი უფლებამოსილია აღნიშნულ პირებთან მიმნდობის სახელით წარადგინოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, განცხადებას, მათ შორის, უძრავი ქონების გასხვისების, შეძენის, ნასყიდობის, იპოთეკის/გირავნობის, სერვიტუტის, დამისამართების, აღნაგობის, გამიჯვნის, გაერთიანების, იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებებს ან/და მათ ცვლილებებს, ნებისმიერ სანივთო თუ ვალდებულებითი ხასიათის ხელშეკრულებებს, განცხადებებს, თანხმობებს, წერილებს, მიღება-ჩაბარების აქტებს და დაარეგისტრიროს ისინი მარეგისტრიებელ ორგანოში; რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია, ხელი მოაწეროს და დაარეგისტრიროს სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის" ნებისმიერი 100%-იანი შვილობილი კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე; მიმნდობის ნაცვლად აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, მოაწეროს ხელი და მარეგისტრირებელ ორგანოში (მათ შორის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) სარეგისტრაციოდ წარადგინოს კომპანიის ნებისმიერი პარტნიორის გადაწყვეტილება/ კრების ოქმი/ წესდების ახალი რედაქცია, სადამფუძნებლო შეთანხმება, აღნიშნული მიზნით ხელი მოაწეროს განცხადებას, განაცხადს, მოითხოვოს ცვლილების რეგისტრაცია, გამოასწოროს ხარვეზი ასეთის დადგენის შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება. მარეგისტრირებელ ორგანოში ასევე დაარეგისტრიროს ვალდებულებები, ხელშეკრულებები, მათი ცვლილებები და გაუქმების შესახებ შეთანხმებები.

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ საქმეზე; წარადგინოს სარჩელები, შესაგებელი, განცხადებები, შეგებებული სარჩელები, საჩივრები, კერძო საჩივრები, დააყენოს შუამდგომლობები, სასამართლოსგან მოითხოვოს/ გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია/ დოკუმენტი, წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში.

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ ხელშეკრულებას, რისი უფლებამოსილებაც მარწმუნებელს წესდებით აქვს მინიჭებული.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70487854709923

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230025998

რეგისტრაციის თარიღი

11.01.2023 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, იონა ვაკელის ქ. N 1
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა:
მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი
წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:
სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მიმნდობი:

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ"-ის გენერალური დირექტორი:

ხელმოწერა

ნოტარიუსი ანჟელა მანია

[redacted]


01.10.18.006.427
NAPR
01.10.18.006.420
NAPR
01.10.18.006.421
01.10.18.006.421
01.10.18.009.161
01.10.18.006.304
01.10.18.009.161
01.10.18.006.421
01.10.18.009.156
01.10.18.009.160
01.10.18.006.424
01.10.18.006.304
NAPR
NAPR
01.10.18.009.154
NAPR
01.10.18.006.144
01.10.18.006.270
01.10.18.006.425
01.10.18.006.426
01.10.18.006.312
01.10.18.006.144
NAPR
NAPR
NAPR
01.10.18.006.426
01.10.18.006.132

ᲛᲝᲚᲝᲪᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲕᲔᲠᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲛᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ
ᲛᲝᲚᲝᲪᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ




ვილა 3-ის ტერიტორია, მიმდინარეობს
გრგ-ს დამტკიცების პროცესი
ს.კ 01.10.18.004.019
ს.კ 01.10.18.006.394
ალვის ხის ქ.
ალბოლიის ქ.
ალბოლიის ქ.
ალბოლი

წერილის ნომერი: **03-032318581**
თარიღი: **04/07/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ეთერი ღონღაძის 2023 წლის 20 აპრილის საქმე #19/032310957-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია შპს "ლისი ფოს" და სს "ლისი ლეიქ დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი განცხადება, შეისწავლოთ გარემოებები და გამოგვიგზავნოთ განცხადებაში მითითებულ საკადასტრო ერთეულებთან გამავალი გზათა ქსელის კარტოგრაფიული მასალა, გრგ-ს შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123216468**
თარიღი: **04/08/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.07.2023 წლის # 03-032318581 (04.07.2023 წ. #14-01231853709-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი